როგორც ლრუბელი სავსეა სეტყვით, ისე ეს ქალი სავსეა სიტყვით.

დამდევს ლრუბელი, უნდა დამსეტყვოს, დამდევს ეს ქალიც, უნდა დამსიტყვოს.

ვატყობ, ან მალე დავისეტყვები ან კიდევ მალე დავისიტყვები.

რაც სათქმელია, სჯობია ითუვას, მგონი დასეტყვა მიჯობს დასიტყვას.

სიყვარული

მოგვივლენ მანანოები, ტკბილსა გვიმდერენ ნანასა, სიზმარშ ჩაგვაყოლებენ ლამაზა გამოცანას: რა არის, გულს რომ მოგვიყლავს მაგრამ არა ჰგავს დანასა?

გათარებლები

გამომელვიდა, სამშობლოში ვიყავ უკვე და ფანჯარაში ჩხერიმელა მოჩანდა ჩემი, ისე ავმდერდი, საოცარმა მევიოლინებ თითქოს ჩემს გულზე ჯადოსნური დაუსვა ხემი.


გევი

შენ ჯერ არ იცი, გემო, ტალღებმი სრბოლის გემო.

ჯერ არ გასულხარ ზლვაში, არც შაგმი, არცა სხვაში.

ნაპირს მიბმული დგახარ, ჯერ თვით არ იცი, რა ხარ.

ლელა მგელაძე



* * *

თუკი სიყვარულს მზეზე ხშირად არ გამოფენთ, ქარს არ მიუგდებთ გამოსაფიტად, სამარემდე იარჩუნებს შემოდგომის მშვენიერ ფერებს.

* * *

კედლის ფოტოზე ერთმანეთთან თავებმიდებულ მშობლების ღიმილს მიტოვებული სახლის სხვენში ემალება ნგრევის დემონი.

* * *

არაფრისმქონემ ჩაუარა ბედის რჩეულის მდიდრულ სასახლეს და ცას ახედა იბოლი ბავშვის უხერხულობით, დედა-შვილის ურთიერთალერს თვალს რომ არიდებს.

* * *

როგორც ფოთოლი, მრავალსტიქიაგამოვლილი, მინასთან ახლოს წყდება ზოგი სიცოცხლის ხიდან, ზოგი კი იღბლის მეცხრე ზეცას — ვარსკვლავის შსგავსად.

* * *

მდიდრის თეთრ ხელებს კვალს ვერ ამჩნევს აქლემების ქარავნის პარვა. კანდამსკდარ ხელზე მოპარული ნემსიც ბრჭყვიალებს.

* * *

ბრძენი მოხუცი — გაცვეთილი, მანც ძვირფასი წიგნი.

* * *

ხან სიძულვილი სიყვარულზე მეტად კაჟკაშებს.

* * *

ფუყე თავთავთა ხშირმა ჩრდილმა დააჭკნო სავსე.

* * *

ცას დაუდევრად ანენვია ღრუბლის ჭალარა და ცალი თვალით უღიმის მინას.

თბილისის პირველი საერთაშორისო ფესტივალი კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ჩატარდა. სპონსორთა შორის კი იყვნენ: ამერიკის შეერთებული შტატებისა და იტალიის საელჩოების საქართველოში, გორეთეს, პოლონეთის წიგნისა და ფრანგული ინსტიტუტები, ბრიტანეთის საბჭო, „აჭარა ჯგუფი“, „ვისოლი“ და „ბადაგონი“. პროექტის პარტნიორობა გაუნიერს: ლიტერატურის მუზეუმმა, კავკასიურმა და ევროპის სახლებმა, ლიტერატურულმა პრემიამ „საბამ“, თავისუფალმა და საქართველოს უნივერსიტეტებმა, ამერიკულმა აკადემიამ. საელჩოების, კულტურულ-საგანმანათლებლო ინსტიტუტებისა და კერძო კომპანიების აღმასრულებელი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნადან თბილის იკამდე ავტორი ენვია. როგორც სტუმრების, ისე მასპინძლების მოლოდინი დიდი იყო. ორგანიზატორები და პარტნიორი ირგანიზაციები ამ მასტებული ფესტივალისთვის გულმიდინებ უზადებოდნენ. მხარდაჭერმა საინფორმაციო საშუალებებმა პროექტის შესახებ სრული ინფორმაცია წინდანი მიაწოდეს საზოგადოებას, საფესტივალო დღეებში კი ყოველდღიურად აშენებდნენ ღონისძიების მსვლელობას. ფესტივალის დაწყებამდე არაერთი უცხოელი სტუმარი მკითხველმა ღიტერატურული ურნალების — „ახალი საუნჯე“ და „არილი“ — საშუალებით გაიცნო. ამ პერიოდულ გამოცემებში დაიბეჭდა ნაწყვეტები ნაწარმოებებიდან, ასევე, ითარგმნა ინტერვიუები, ბიოგრაფიული მონაცემები, საგანგებოდ ფესტივალისთვის გამოცა როი რომანი. მწერალთა სახლმა მოამზადა საფესტივალო ბუკლეტი... ასე რომ, მწერალთა დიდ თავყრილობას თბილისი მომზადებული შეხვდა.

ფესტივალზე იმუშავა ჯგუფმა ნატა ლომურის, ნანა ნიბლაძის, შოთა იათაშვილის, ლელა შუბითიძის, დავით გაბუნიას, ნინო ბერიშვილის, ნინო გოგიტიძისა და კახა ხუდაძის შემადგენლობით, რომელმაც დატვირთული, შინაარსიანი და მრავალფეროვანი საფესტივალო პროგრამა მოამზადა. დღის პირველი ნახევარი კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათის ღონისძიებებს უნდა დამობოდდა. სტუმრების მასპინძლობა შევადასხვა უმაღლესი სასწავლებელი თუ ცენტრი დასახელდა, საღმომები კი ლიტერატურული დისკუსიებით, პრეცენტაციებით, მკითხველთან შეხვედრითა და საჯარო კითხვით უნდა გაჯერებულიყო. შეხვედრის ძირითად ადგილად მწერალთა სახლი მოინიშნა, თუმცა ღონისძიები დაიგენერირდა სამართლის მინისტრის სახლში, ლიტერატურის მუზეუმში, ევროპის სახლსა და „თაბისი გალერეაში“.

ცონბილი გახდა ფესტივალში მონაწლეთა ვინაობაც — ფილიპ ბესონი (საფრანგეთი), კლაუდიო პოცანი (იტალია), ვიოლეტ გრიგორიანი (სომხეთი), იოსიფ ნოვაკოვიჩი (კანადა), რასულ იუნანი (ირანი), მიკოლაი ლოზინსკი (პოლონეთი), გიუნელ მოვლუდი (აზერბაიჯანი), რაულ შროტი (ავსტრია), სერგეი უადანი (უკრაინა), სარა ბოუერი (დიდი ბრიტანეთი), ანთონა ნიკოლსონი (დიდი ბრიტანეთი), კეროლინ ფორშე (აშშ), კიმბერლი ჯონსონი (აშშ), ვერა პავლოვა (რუსეთი), ლუსი ტაპა-აპონსო (აშშ). ქართველი ავტორებიდან კი — ლაშა ბულაძე, ზევიად რატიანი, ანა კორდაია-სამადაშვილი, ეკა ქევანიშვილი და პაატა შამუგია.

18 მაისს შუადღის 12 საათზე პროექტის ორგანიზატორებმა, სპონსორებმა და პარტნიორებმა პრესკონფერენცია გამართეს. ფესტივალი კი იმავე საღამოს ფილიპ ბესონის წიგნის — „იქიდან ზღვა ჩანს“ — პრეზენტაციითა და მწერლის მკითხველთან შეხვედრით გაიხსნა.

ფილიპ ბესონი საფრანგეთიდანაა. იგი თექსმეტი რომანის, კონსუერარებისა და პიესების ავტორია, მიღებული აქვს ორი ლიტერატურული პრემია და თანამედროვე ფრანგული პროზის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი წარმომადგენლად იქცა. „იქიდან ზღვა ჩანს“ დალი იაშვილმა ფესტივალისთვის თარგმნა. წიგნი „ინტელექტმა“ გამოსცა. რომანის გმირი 40 წლის მწერალი ქალია მდიდარი წარმოსახვით და, ალბათ, სწორედ თვითკმარი შინა-

პთაპეზდილეპეპით სავსე დღეეპის კვალდაკვალ



განიცხოვების გამოა, რომ შეიძლის ყოლა არ უნდა, დედობა არ აინტერესებს. ცხოვრება მას საბედისნერო სამეცნიერებელი გახვევს. იტალიაში მოგზაურობისას მის წინ ჩავლილი მამაკაცი შეუყვარდება.

ფრანგული პროზისთვის დამასასიათებელი ფსიქოლოგიური წიუანსებითა და ეროტიზმით, სასიყვარულო ურთიერთობების ლაბირინთებიც ამ დროს იხსნება. თუმცა

ვავებული ფინალი აქვს. „როცა ჩემი წინა რომანი — „ეარგი მიზეზი თვითმკვლელობისთვის“ — გამოიცა, მკითხველი მსაყვედურობდა, არ შეიძლება ასე წერა, ვილაც უნდა გადარჩეს შენს ტექსტებში და მაშინ პირობა დავუდე საკუთარ თავს, რომ მომდევნო რომანში ალარ მოველავდი პერსონაჟებს. ასეც მოვიქეცი,“ — განაცხად ფილიპ ბესონმა.

იმავე საღამოს მწერალთა სახლის დარბაზი სვეტლანა ალექსიევიჩის შემოქმედების თავიანის მცემლებმა გაავსეს. „ჩერნობილის ლოცვის“ პრეზენტაცია უავტოროდ ჩატარდა. მწერალს ფესტივალადმდე ცოტა ხელი ადრე ვარავაში გამგზავრებამ მოუწია, რათა მეორედ მიეღო რიჩარდ კაპუშინსკის პრემია ლიტერატურული რეპორტაჟისთვის. მგზავრობისას ავად გახდა და ფესტივალში მონაწილეობა ვეღად გადა და ფესტივალში მონაწილეობა შეძლო.

„ჩერნობილის ლოცვა“ ნინო ბექიშვილიმა თარგმნა, „ინტელექტმა“ კი გამოსცა. მიუხედავად იმისა, რომ პრეზენტაცია უავტოროდ გაიმართა, მწერალთა სახლში ძალიან ბევრმა ადამიანმა მოიყარა თავი. პრეზენტაციის წამყვანმა ანა კორდაია-სამადაგვლმა ასე დაახასიათა მწერალი: „ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ავტორი და ადამიანი დღევანდელ მსოფლიოში. წიგნი „ჩერნობილის ლოცვა“ უბრალო ადამიანების მიერ მოთხოვიბილ ამბებზეა აგებული. მსგავსი წიგნი არასოდეს წამიგოთხავს და ვერც წარმომედგინა, თუ შეიძლებოდა, ასეთი რამ დანერილიყო. მასში პათოსის, სენტიმენტების მისხალიც არ არის. ქალბატონი სვეტლანა ხშირად იმეორებს, რომ მისთვის მნიშვნელოვანია არა დიდი მოვლენა, არამედ რიგითი ადამიანის ბედი. სწორედ ამგვარი დამკიცებულება მისი წიგნების პოპულარობის მიზეზი.“

ლიტერატურულმა აგენტმა, გალინა დიურსტებოგვამა კი, რომელიც ფესტივალზე სვეტლანა ალექსიევიჩის წარმოადგენდა, აღნიშნა: „ეს არც ურნალისტიკა და არც მხატვრული პროზა. ესა თხრობა ადამიანებზე, მათ ბედისწერასთან შეხება“. ყველაზე უკეთ თავად მწერალმა „ისაუბრა“ თავის თავზე — „დიდხანს ვეძებდი უარის, რომლითაც გამოვხატავდი, თუ როგორ ვედი სამყაროს. და მოვძებნა. ადამიანთა ბებებს ვინერ. ისინი ფანჯარებს მიღმა, ქუჩებში ისმის. ჩემს წიგნებში მოწმებები ყვებიან მოვლენებზე, ზოგი — ავანგრენის ომზე, ზოგიც — საბჭოთა იმპერიის დაშლაზე, სხვადას — ჩერნობილზე. ყველა ერთად კი სიტყვებით ქმნის ქვეყნის ისტორიას, ზოგადად, ისტორიას. ამასთან, თითოეული თავის ბედისწერაზე მოგვითხოვთ. დღევანდელ სამყაროში დოკუმენტი ძალიან მნიშვნელოვანი ხდება. მე არ ვაგროვებ მშრალ, შეიძელ ფაქტებს, მე გრძნობების ისტორია მაინტერესებს.“

ასე შეიქმნა „თუთის ბიჭები“, „Second Hand-is Dror“, „ომს ქალის სახე არა აქვს“, „ჩერნობილის ლოცვა“. იმ ისტორიებმა არაერთი პრემია მოუტანა ავტორს, მათ შორის წლის საუკეთესო წიგნის პრემია, რომელიც 2013 წელს პარიზში გადაეცა. იმავე წლებს, ფრანკფურტში, მიღლი გამომცემლებისა და წიგნის გამარცვლებების მშვიდობის პრემია. არის ცენტრალური ეროვნის ლიტერატურული პრემიის — „ანგელუსი“, ამერიკელ კრიტიკოსთა და ერთი მარია რემარკის პრემიების, ანდრე სინიაგსკის პრიზისა და კიდევ არაერთი მნიშვნელოვანი ჯილდოს მფლობელის სამუშაოების შეძლების მიზეზი.

ასე შეიქმნა „თუთის ბიჭები“, „Second Hand-is Dror“, „ომს ქალის სახე არა აქვს“, „ჩერნობილის ლოცვა“. იმ ისტორიებმა არაერთი პრემია მოუტანა ავტორს, მათ შორის წლის საუკეთესო წიგნის პრემია, რომელიც 2013 წელს პარიზში გადაეცა. იმავე წლებს, ფრანკფურტში, მიღლი გამომცემლებისა და წიგნის გამარცვლებების მშვიდობის პრემია. არის ცენტრალური ეროვნის ლიტერატურული პრემიის — „ანგელუსი“, ამერიკელ კრიტიკოსთა და ერთი მარია რემარკის პრემიების, ანდრე სინიაგსკის პრიზისა და კიდევ არაერთი მნიშვნელოვანი ჯილდოს მფლობელის სამუშაოების შეძლების მიზეზი. არაერთი სამუშაო მნიშვნელოვანი ჯილდოს მფლობელის სამუშაოების შეძლების მიზეზი. არ

სა, რომ ამგვარი მეთოდით მუშაობის გამოცდილება მაქვს, ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ შეიძლებოდა ინტერვიუებიდან ამ დონის ლიტერატურა შექმნილიყო”.

* * *


მომდევნო დღეს ფილიპ ბესონი თბილი-
სის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენ-
ტებს შეხვდა, კლაუდიო პოცანი — დანტე
ალეგირის საზოგადოების ნაწმომა დგენ-
ლებს. რაულ შროტმა ლიტერატურის
მუზეუმში დისკუსია გამართა თემაზე: ჰე-
სიოდე „თეოგონია“, პომეროსი „ილიადა“
— უძველესი ტექსტები, მათი წყაროები და
კონტექსტები. დისკუსიის მოდერატორი
ლაშა ბაქრაძე იყო. ვერა პავლოვას პოეზი-
ის საღამოს კი კავკასიურმა სახლმა
უმასპინძლა. იმავე დღეს მიკოლა ლოზინ-
სკის მეოთხველმა ევროპის სახლში მოუსმი-
ნა, მნერალთა სახლში კი სარა ბოუერმა და
ანთეა ნიკოლასონმა დავით გაბუნიასთან
ისაზრების.

სარა ბოუერი ბრიტანელი მწერალია. რომანისთის — „სისხლიანი ნეშინ“ — მოიპოვა სიუზენ ჰილის პრემია, მეორე რომანი — „სიყვარულის წიგნი“ — ცხრა ენაზე ითარგმნა და 2009 წლის ბესთსელერია. ბოლო რომანი 2014 წელს გამოსცა. ვიზუალურმა არტისტმა, ანთეა ნიკოლსონმა კი პროზაული ტექტსების წერა გვიანდა იწყო. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან უმეტეს დროს საქართველოში ატარებს, როგორც აღნიშნავს, „გამოკიდებულია“ თბილისსა და ბრისტოლს შორის. მისი პირველი რომანი — „მცურავი ღრუბლების აღამი“, რომელშიც მოქმედება საქართველში ხდება, 2013 წელს დაიბრუნდა. ახლა მეორე რომანზე მუშაობს.

ორივე ავტორმა ნაიკითხა ნაწყვეტები რომანებიდან. სარა ბოუერმა ჯერ კიდევ დაუსრულებელი თხზულებიდან — „სიყ-ვარული კლას“¹, ანთეა ნიკოლსონმა — „მცურავი ღრუბლების ალმიდან“, იმავე ნაწყვეტების თარგმანები დალილა გოგიამ და დავით გაბუნიან შემოგვთავაზეს. შემ-დეგ მწერლებმა თავიანთ შემოქმედებაზე ისაუბრეს, იმ ნაწარმოებებზე, რომელთა ნაწყვეტებიც სალამოზე გაჟღერდა. პირვ-ელ თხზულებაში მოქმედება პალესტინაში ვითარდება — 1948 წელს ისრაელის სახ-ელმწიფოს შექმნიდან ღაზას სექტორში კონფლიქტამდე. როგორც ავტორმა აღნი-შნა, ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ მოვლენებში დიდი ბრიტანეთიც მონაბი-ლეობდა და ამ პერსპექტივიდან მოვლე-ნების დანახვა მისთვის საინტერესო აღ-მოჩნდა. ანთეა ნიკოლსონის წიგნში კი მოთხოვდილია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდზე საქართველოში, სამო-ქალაქო ომზე, ნგრევასა და დეპრესიაზე, და ადამიანზე, რომელიც იოსებ ჯუღაშვილის სახელს ატარებს.

„ມີໂທນິ້ງເວັບຕົກ ຕູ້ ລາຍ ຕາງສ ປ່ອລັບຖືໄງໝູ້
ມີນິ້ງຮ່າງດຳເນັດ?“ — ດັບຕອນ ກະບຸງນີາສ ປີກຽງເວັບ
ໜີງໄຫວ້າສ ສະເງົາຕົກ ຕັ້ງສູງເບີດ ມອນຢູ່ວາ: ສາຮາ
ດ້ວຍງົງຮົາ: „ວິຊາຍິກົກນົກ, ບົງຮາ ຕາງວິສົຕະຫາວັດ
ປ່ອລັບຖືໄງໝູ້ຣີ ອັກຕຸລາ. ມີມາກຸງຈົບປ່າຍ ປ່ອນ້ອຳ
ລາຍໃນ ສາມູ້ງາລັງງາ, ສົງເນືດບຸງລັດ ໂລຸພາບາຮາ-
ກົງປ່ອລັບຖືໄງປາຖື“. ຊັນຕ້າງ ນີງຄົມລົບນົບໂນ: „ວິເງຕ-
ເນັບທີ່ມີ ສາຮາສ ທີ່ຢືນ, ມາກົດຮັບ ສີສູນ ຫຼັບດຳ
ລັດໃນນິ່ມນົມສ, ຮົມມ ມີມາກຸງຈົບປ່າຍ ປ່ອນ້ອຳທີ່ມີ ພົງເ-
ລັດແງ່ຮົງ ກະມົງກອນໃລ້ວັດ. ແຈ້ກາລົມວັດ,
ຖືຜູ້ໃລ້ວ ຮູ່ເລັກອົບດຳວັດ ຄົງກວາສ“. ສາຮາ ດ້ວຍງົງຮົາ:
„ມີຮັກຕາລົມວັດ, ຮູ່ເລັກ ວິກອນນູ່ບໍດັກ ມີບັດກວັນ, ມາກົດຮັບມີ
ໃສ ອົມ ສີນຳມັດວິໄລແໜີໃຈ ສົງເນືດບຸງລັດ, ມັ-
ມີບັດກາຮົງຢູ່? ສົງເນືດບຸງລັດ, ຮູ່ເລັກອົບດຳວັດ
ກວັນທີ່ກົດກົດວັດ, ມີສ ເງຕະກວາມ ກົມເມີນທີ່ໂຄງ-
ດຳວັດ ຢັກຕົກນິ້ນ“.

მომდევნო კითხვაზე, რამდენად
გრძნობენ პასუხისმგებლობას, როცა მხ-
ატვრულ ტექსტებში ისტორიულ მოვლე-
ნებს ეხებიან, ანთეა ნიკოლასონმა თქვა,
რომ ისტორიულ და წიგნის სიმართლეს
შორის ხშირად დიდი განსხვავებაა:
„ძალიან ვწუხვარ, აღიარება რომ მინევს
— თუკი ტექსტი ითხოვს, გადაწყვეტილე-
ბას წიგნის სიმართლის სასარგებლივდ
ვიღებ, თუმცა არა მგონია, ძალიან შორს
ვიყო ისტორიული სიმართლისგან“. სარა
ბოუერი: „სრულებით არ ვგრძნობ პასუხ-
ისმგებლობას, მე მხატვრულ პროზას ვქმ-
ნი და არა ისტორიულ დოკუმენტს. მასნავ-
ლებელი ვერ ვიქნები. თუ რომანის მკითხ-
ველს გაუჩინდება სურვილი, ამა თუ იმ ის-
ტორიულ პერიოდს ახლოს გაეცნოს, მოიძ-
იოს ის ისტორიული წყაროები, რომლებიც
წიგნის ბოლოს მაქვს მითითებული“.



ფესტივალის მეორე დღე კერძოის ფორმებს, კიმბერლი ჯონსონისა და პაატ შამუგიას პოეზიის საღამომ დაასრულა.

* * *

ଓঝেস্ত্ৰিগুবালীস মেসাৰ্মে ফলেস সাৰা দৰিয়েৰ
মা তাৱিসুজ্জোলি উন্নিগুৰেস সিক্তেতিৰি স পুৰুষেন
ত্বেততাৰ শ্ৰেমৰ্মণে ফেডেতিৰি নেৰিস বৰোৰ্জশৰূপ
গাৰ্মাৰতা; একা কেৱানিৰ্ষৱিলি, বৰোল্লেখ

კულტურით პოცანის ლექსები თარგმნილია მრავალ ენაზე. წლების ნინ მან დაარსა „პოეზიის საერთაშორისო სახლი“, რომელიც გენუის დოჟების სასახლეშია განთავსებული და სადაც ყოველწლიურად 180 ღონისძიება უფასოდ იმართება. იტალიელი პოეტი ქართველ მკითხველს ნუნუ გელაძემ წარუდგინა. ქალაბატონი ნუნუ იტალიაში ცხოვრობს, ის ქართული ლიტერატურის დიდი ქომაგია და პოპულარიზაციას უწევს ჩვენს კულტურას ევროპაში. მან არაერთი ქართველი ავტორი თარგმნა, შეადგინა თანამედროვე ქართული პოეზიის ანთოლოგია იტალიურ ენაზე და ხშირად იწვევს მწერლებს იტალიაში სხვადასხვა ლიტერატურულ ფორუმზე. ამჯერად მან პოცანის პოეზია შემოგვთავაზა ქართულად. „ჩრდილების მარში“ — ასე ჰქვია წიგნს, რომლის პოეზიანტაციაც გაიმართა.

მესამე დღე ლიტერატურული პოეტების შემოქმედებითი საღამოთი დასრულდა.

* * *

ფესტივალის მეოთხე დღეს მწერალობა
სახლში აშშ-ს საელჩოს ნიგნის თარგმანის
მხარდაჭერის პროგრამის პრეზენტაცია
გაიმართა, რომლის ფარგლებშიც გამომ-
ცემლობა „დიოგენებ“ საზოგადოებას ახ-
ალი სერია — „ამერიკელები“ — თანამედ-
როვე ამერიკული ლიტერატურის 20
შედევრი წარუდგინა. კლაუდიო პოცანის
ისევ შეხვდა მკითხველი მაჩაბელ ზე.
ამჯერად ის მონანილეობდა დისკუსიაში
— „პოზია, როგორც მარგინალური ლიტ-
ერატურა დღეს“. თემაზე ასევე ისაუბრეს
კიბერლი ჯონსონმა, ვიოლეტ გრიგორი-
ანმა და რატი ამალობელმა. დისკუსიას
შოთა პაპავა უძღვებოდა. მან მთავარი
თემა რამდენიმე საკითხად დაპყო და სა-
საუბროდ ასე შესთავაზა ავტორებს: ა) იყო
თუ არა ოდესამე პოზია ლიტერატურული
მენისტრიმი; ბ) რა დაკარგა და რა შეიძინა
პოზიამ ეპიკურობიდან ლირიკულობაში
გადასვლით; გ) როგორია დღეს პოზის
სოციალური ფუნქცია; დ) ციკლურობა
ლიტერატურაში; ე) პროზისა და პოზის
დაპირისპირება; ვ) პოზია და ციფრული
ერა; ზ) პოზიის ცნება — ვინრას გულისხ-
მობს მასში.

დისკუსის თითოეულ მონაწილეს
ძალიან საინტერესო და განსხვავებული
მოსაზრება ჰქონდა. ისინი თავიანთი ქვეყ-
ნების სინამდვილიდან და პირადი
გამოცდილებიდან საუბრობდნენ. დისკუ-
სიაში ლამის მთელი დარბაზი ჩაერთო და,
შესაბამისად, გვიანობამდე არავინ დაშლი-
ლა. ხოლო ამგვარ აქტუალურ თემაზე
საუბრის შემდეგ, ვერა პავლოვას, ზეიად
რატიანისა და სერგეი უადანის პოეზიის
საღამოს გამართვა, მათი ლექსების გაუდ-
ერება მწერალთა სახლის ბალში ძალიან
დროული და, შესაძლოა, სიმბოლურიც
იყო.

* * *

ფესტივალის მექუთე დღეს ლუსი ტაპ-აპონსო ამერიკული აკადემიის მოსწავლებს შეხვდა. კავკასიურმა სახლმა კი რა-სულ იუნანისა და გიორგი ლობჟანიძეს უმასპინძლა. აქტუალურ თემაზე გაიმართა დისკუსია „თბილისი გალერეაში“ — „მწერალი და მოქალაქე, მწერლის სამოქალაქო პასუხისმგებლობა“. მასში მონაწილეობდნენ კაროლინ ფორმე, ლუსი ტაპაპონსო, იოსიფ ნოვაკოვიჩი და ლაშა ბუღაძე, მოდერატორობა კი ლევან ბერძენიშვილმა ითავა. როგორც მოსალოდნელი იყო, ის შესანიშნავად გაუძლვა საღამოს და სამუალება მისცა სტუმრებს, ესაუბრათ თემებზე: რა გამოწვევების წინაშე აყენებს მწერალს **XXI** საუკუნე; შეიცვალა თუ არა მწერლის როლი ტექნოლოგიებისა და მედიის განვითარებასთან ერთად; როგორია დღეს მწერლის გავლენა საზოგადოებაზე; სად არის მწერლის, როგორც მოქალაქეს, ადგილი დღევანდელ მსოფლიოში და რისი შეცვალისძიების მას.

ავსტრიელი პოეტი ერიკა კრონაბითერი დაიბადა 1959 წელს. იგი, ასევე, ხელს საყმანვილო პროზას და სახელმწიფო აქციების ორგანიზატორია. სწავლობდა შედარებით ლიტერატურატურათმცოდნეობას, გერმანისტიკას და ხელოვნების ისტორიას ინსპექტორი. როგორც პოეტს, მიღებული აქვს მრავალი ლიტერატურული პრემია და სტიპენდია. ამავე დროს, თავად არის ლიტერატურული უურნალების და ანთოლოგიების გამომცემელი, თემატური პროექტების ავტორი და თანაავტორი. არანაკლები ინტენსივობით მუშაობს მხატვრობასა და მხატვრულ ფოტოგრაფიაში, ლია სივრცეში გამართული მისი აქციები საზოგადოებრივი სივრცის პერიოდული პერფორმანსული კვლევის ნიმუშებია. კრონაბითერის პოეზიისთვის დამახასიათებელია ლექსებში კოდირებული მტკიცნეული პირადული გამოცდილებების განატანა ლირიკულ განზომილებაში, ემოციების განზოგადება და ნარმოსასულ თანამოსაზრესთან ინტიმური დიალოგი. შემთხვევით არ არის მისი ერთი ასეთი ლექსი-ლიალოგი ფრიდერიკი მაირიოკერთან, რომლის ნეომოდერნისტული ესთეტიკა კრონაბითერისთვის, მისი თაობის არაერთი პოეტის მსგავსად, სანიმუშოა: ამ ესთეტიკის თანახმად, პოეზია შთაგონების ნაყოფია, პოეტური პრაქტიკა შემოქმედება და განსხვავდება ყველა სხვა სახის საქმიანობისგან, მაგრამ პოეზია არ არის ნატიფი გრძელების პირდაპირი გამოხატვისა და ემოციების პლაკატური მანიფესტაციების ველი.



ერიკა კრონაბითერი

მშვიდობით, მააა

იოჰან კრონაბითერს

გადარჩენილები ვფიქრობდით
რომ შენ
კიდევ ერთხელ გადარჩი
მაგრამ არა: გადარჩენაზე არ გიფიქრია
შენ ის გჭირდებოდა

შენი ცხოვრების გზა მოფენილი იყო ქვებით, პირქუში მშიბლიური სახლი, სასტიკი მამა, მტერზე უარესი მთელი შენი ჩუმი სიყვარული, შენი ერთგულება მიეცა ქალს,
რომელმაც მიგილო
ხშირად სადუმდი საკუთარ თავთან,
ზოგჯერ შენი დუმილი იყო ხმამაღალი
არაფერს ამბობდი ნარსულზე
შენ ცოლს და მის გოგონებს აუშენე პატარა,
სამედო ბუდე

ყველაფერი, რისი მოცემაც შეგვეძლო
მოგეცით ნუგეშად.
როცა გავიდა ჩუმი სიხარულის სამი წელინადი
არაფერი დაგვრჩა მოსაცემი, აღარ ვიყავით შენთვის ნუგეში,
მხოლოდ ხიდი, შენ რომელზეც გაარე

მას შემდეგ უნდა გვეცხოვრა ყოველდღე
ცხოვრების ძაფიდან ჩამოგვეხსნა
გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი
ქუდიანი პატარა მებალე
შენი დაძახება ყოველ დილით: უკვე გავიღვიძე
და კიდევ: კარგად მეტინა
მზის სხივი საუზმის მაგიდაზე
ერთხელ კი: საშინელი ღამე იყო
შეგეშინდა რუხი, სადაგი დღეების

ალარაფერი იქნება და არაფერი გაგრძელდება
იდგა შესს ფიქრში

რა შეგვეძლო შენთვის მოგვეცა?
სითბო, სიტყვები, დრო
მოგხეოდთ გამხდარ მხრებზე
მსუბუქად, როგორც ნუგეში
გადარჩენის სტრატეგია
მხოლოდ ეს შეგვეძლო
მოგვეცა — იმედი —
რისი?

ნამით შეყვინდი
ერთი გულისცემაც
ნასვლა დაბირე და საათს შეხედე
სამი წელინადი გასულა

ერთი გულისცემაც და ჩვენგან
შორს ხარ

ასე ძლიერი სიყვარული

რა ძლიერია ძალა
სიყვარული ძლიერია ისე ძლიერი როგორც
სიყვარული
არის სიყვარული ისე ძლიერი როგორც ძალა
თუ ძალა არის ისე ძლიერი როგორც სიყვარული
თუ ძალაუფლება ისე ძლიერი როგორც ძალა
თუ ძალაა ისე ძლიერი როგორც ძალაუფლება

თუ ძალაუფლება ისე ძლიერი როგორც სიყვარული
თუ სიყვარულია ისე ძლიერი როგორც ძალა
თუ სიყვარული უფრო ძლიერია ვიდრე ძალა

აცრებლებული

და ტყუილი ბარბაცით
მიჰყება მითითებებს
სანამ სათლებს შემოიტანენ
ვერაფერი ვისწავლეთ ვერაფერი
მხოლოდ ისინი ვისაც უყვართ
ჩაივლიან და შეიტყობენ სიმართლეს
ძალიან მაღა
ვიდრე ერთმანეთს წაქცევენ როგორც
იქცევა თავთავი მოტეხილ ღეროზე
ცხოვრების ტყულზე გადამტვრეულებს
და უკან მოტოვებულებს
არ ჩაგვიფრენს იმედის მტრედი
სულ უფრი მეტნი ვართ
ვისაც გაგვერობია იმედი
სასწავლის და ანგელოზის — ყველაფრის
ისღა დაგვრჩენია დაველოდოთ
სანამ სიკვდილი ჩვენს შესახვედრად გამოფრინდება
მოგვეხვევა აცრემლებული

კვლემა ლარნაკის პირთან

ჩამკვდარი წითელი ლარნაკის პირთან
ყავისფერი, რომელიც ახრჩობს

შენ ასე იტყოდი
ამოიცნობა წითელი ისევ
მეც გეტყოდი რამეს, კვერს დაგიკრავდი
ვიტყოდი, რომ წითელია ყაყაჩოსავით
რადაც სიტყვები ყაყაჩოსა და წითელზე
ან ამერიკულ მთებზე სრიალი
მხიარულად მოკუნტული აღმა და დაღმა
ან ვარდის ყლორტის წვრილი ეკალი

ახლა მხოლოდ თავს გიქნევ
შენთან ერთად ვფიქრობ ნათქვამზე

ღია გარათი ხადით

ფრიდერიკე მაირიოკერს

მომზირალ თვალებში

იბეჭდება ასლები
ვადარებთ ჩვენს ლექსებს
და ვუმზერთ სინამდვილეს

დადგება დრო, როცა
უკანასენელად შეხედავ ჩამავალ მზეს
მაგრამ შესაძლოა
კიდევ მრავალჯერ გაიღვიძო დილით
ფეხებგაყრილმა უზარმაზარ ფეხსაცმელებში
რომლებიც არც ისე დიდი გაქვს
გვაჩვენებ ღია ბარათს
შენი ზურმუხტისფერი სიყვარულის
წინა გაჩერებისას
თვალები დაუნდობლად მიმოდიან ზემოთ
და ქვემოთ

თარგმნა გაია გოგოლაძე



სინაზე: მარმარილობის

აღელვებული სინაზე
ხელს მიქნევ იმ დროიდან
მეხები თითებით
ჩრდილების ტყეში ფოთლების ვუვლი
შენს ნარჩენებს ზღვაში ვეზიდები
შორს ტალღებში
სადაც ზერორები ამოაფრქვევენ და ჩაიტანენ
რაც დარჩება — თოლიების კვილია
შენ რომ გაგვება
მარმარილოს ნაპირების სკენე
შეამტვრევს ნაპირს
მარმარილოს კიდეს

მთელი ნუგაზი

ვის სურს ილაპარაკოს დასასრულზე
ამ დაწყევლილ დასასრულზე სულ ბოლოს
ცრმლების ზღვაში დე
ამ წუთამდე ასე გრძელდებოდა
როგორლაც გრძელდებოდა
უფსკრული ყოველი წერტილი მიემართება
ითხოვს და მიგვიძლივი
ჩვენ აქამდე ყველაფერი გამოგვივიდა
ვიარეთ საკუთარ კვალზე
როგორლაც ასე მონდომებით ვტოვებდით
ახლა კი წერტილი წერტილია
როგორლაც დავსვამთ იქ
სადაც ინყება
ნაშლილი ცხოვრების
განვლილი ცხოვრების
სადაც ინყება არაფერი
რისტოვის გავისარჯეთ
სწორედ არაფრისტის
როგორლაც ასე მონდომებით ვტოვებდით
არაფრის შემდეგ
თვალს ვადევნებთ სხვის სიკვდილს
ვთხრით საფლავებს
წარმოვთქვამთ სენტერციებს
მათთვის და იმათთვისაც
ვისი რიგიც ახლა დადგება
უმოწყალოდ წაგლილი მათ სახელებს დისკეტიდან
როცა ჩვენ რიგიც მოვა
გარდაუვალი დასასრული
მხოლოდ მათთვის გადანახული
ვისაც უმოწყალოდ წაგლილი დისკეტიდან
უკლებლივ ყველას
ამაშია მიელი ნუგეში

ვისი ვინამრთ ვისი

ჩვენ აღარ გვიყვარს
წარმოთქმა სიტყვების
რომელსაც ვფლობობთ
აღარ გვკერა ჩვენი ფიქრების
იქნებ ვერც მეორე და
ვერც მეორთხე ან მეტუთხე ცდაზე
ვპოვოთ სიმშვიდე
ჩქარ სირბილში ნაპირის გასწვრივ
ვის უნდა მივმართოთ
ჩვენი კითხვებით და ვინ ითხოვს
რომ ყური მივუგდოთ
ვისი ვინამრთ ვის ვენდონთ
რომ არ დავრჩეთ მიტყუებული
ვინუნუნოთ რომ გვიღალატეს
მამლის მესამე დაყივლებამდე
ეჭ მამალი ყივის

ახალქერძნული პოეზია

ლორენცოს მავილისი


შეკარ

ნეტარ არს ყველა გარდაცვლილი, ვინც დაივიწყა
სიმარტები ცხოვრებისა. ოდეს მზე ჩადის,
ოდეს წყვდიადი მოსდევს დაისს და გსტუმრობს დარდი,
ნუ დაიტირებ მათ, ვინც უკვე დაფარა მინამ.

ასეთ დროს სულებს წყურდებათ და იქთ ილტვიან,
სად დავიწყების ბროლის წყალი კამამ-მდინარებს,
თუმც მყის ჭაბი მდორე წუმბედ აქცევს მდინარეს,
თუკი მათ გამო სიყვარულით ვინმემ იტირა.

მაგრამ რომ შესვან მღვრიე წყალი, გაახსენდებათ,
გზად — ასფოდელთა თეთრ მდელოსკენ მიმავალ სულებს,
ყველა ტკივილი, ძელთაგან რაც ძილად ედებათ.

და თუკი მაინც შებინდება ცრემლსა გგვრის ულევს,
შენმა თვალებმა, დე, ცოცხლები იტირონ ძალუმ,
ვისაც სწადიათ დავიწყება და ვერ კი ძალუძთ.



იორლოს სეფერისი

მინანი ერთ უცხოურ სტრიქონზე
ეძღვნება ელის

ბედნიერია, ოდისევის გზას ვინც დაადგა,
ნეტაც მას, ვინაც გამგზავრებისთანავე იგრძნო
მძლავრი ბორკილი მის სხეულში დაჭმულ ტრფობის,
ძარღვებში რაც სისხლად ჩაუდგა.

იმ სიყვარულის, მარადმდინარ რითმს რომ მიჰყება,
მუსიკასავით მდინარებს და
დამარცხების არ უდგას საფრთხე,
იმ მარადიულ სიყვარულის,
რომელიც სწორედ მაშინ იშვა, როცა ჩვენ ვიშვით,
და არვინ იცის, ჩვენ რომ ვევდებით,
ჩვენთან ერთად ისიც თუ კვდება.



ღმერთს ვვედრი, დიდი ნეტარების იმ ბედნიერ უამს,
ძალით აღმასოს, რომ გამოვთქვა ეს სიყვარული.
ხანდახან, ვზივარ მარტობით გარშემორტყმული
და მის შორეულ გუგუნს ვუსმენ,
როგორც ზღვის ღმუილს,
საიდანდაც რომ ეპარება შტორმი ფარულად.

და აი, ისევ ოდისევის მოდის აჩრდილი,
მდაშე ზღვასთან ჭიდილისაგან
სისხლჩმდგარი თვალებით კვლავ მიმზერს ამაყად.
იმ თვალებშივე დანთებია შლევი წადილი,
ისევ იხლოს კვამლი, რომელიც მის სახლის სითბოს ამოსდის,
ძალი, რომელიც მის მოლოდნში შეაბრდა ეზოს ალყაფას.

დგას დიდებული, შევერცხლილი წვერის მიღმიდან
ჩურჩულად ისმის ჩვენი ენის ტკბილი სიტყვები,
სწორედ ისე, ვით წარმოთქამდნენ სამიათასზე მეტი წლის წინ.
მძიმე საჭის და თოკებისგან დაკოურილ ხელს კვლავ მშვიდად მინვდის,
და ვხედავ, მის კანს ათასგარი ქარიშხლის, ხვატის
და ყინვა-თოვლის კვალი ისევ ცხადად ატყვია.

თითქოსდა სურს, რომ ჩვენ შიგნიდან გამოდეენოს
ის საზარელი კიკლიპი, ვინც ცალ თვალს გვისწორებს,
ის სირენბა, ერთი მღერით რომ დავიწყების ბურუსში გვხვევენ,
და ის ქარბდაც.
ო, საზარელი არსებები,
რომელთა გამოც ვერ ვიჯერებთ, რომ
ისიც ერთი ჩვენგანი იყო,
ჩვეულებრივი კაცი, რომლის სული, სხეული
მთელ სამყაროს ერკანებოდა.

ჟო, ეს დიდი ოდისევისია.
ის ოდისევი, ვინც თქვა, ხის ცხენით შევიდეთო,
ვის წყალობითაც აქაველთა ლაშქარმა მარცხი აგემა ტროას.
და წარმოვიდენ, თუ ვით მოდის, მიმითოთებს,
როგორ ავაგო ხისგან ნაკეთი ჩემი ცხენი,
რათა შევძლო და დავამარცხო მეც ჩემი ტროა.

ისე თავმდაბლად, მშვიდად ყვება, ისე მარიგებს,
თოტქოს მამა, თოტქოს ერთი გვერდის გვარი,
ხანაც იმ ზღვისკაც მოხუცებს ჰგავს,
ბადეებზე დაყრდნობილნი რომ მომითხოვდნენ,
როცა ზამთარი დგებოდა და შლეგობდა ქარი.

ბავშვობის წლებში სწორედ ამგვარად მიყვებოდნენ ეროტოკრიტოს,
სევდა უჩანდათ გადმომდგარი თვალში ცრემლებად.
ეს მაშინ, როცა ძილს მიურთხობდა არეტეს ავი ჰედისერა,
როდესაც სიზმრად მარმარილოს კიბეებზე მავალს ვხედავდი.


და მიამბობს,
თუ ვით მწარეა,

შენი ხომალდის იალქნებად მოგონებები გეშლებოდეს,
შენი სული გაბყრას მის საჭედ,
მარტოდმარტო ვიდოდე იმ ბხელ ღამეებში,
და ყველასგან მივიწყებული
ჰგავდე მინდორში მიტოვებულ ნათიბის ნარჩენს.

თუ რა მწარეა ხედავდე ქელ თანამებრძოლებს —
სტიქებისგან შეწირულებს,
გრძნობდე, რომ ახლოს ალარცერთი მათგანი მოჩან...
რა უწნაურად მამაცდები, გარდაცვლილთ რომ ესაუბრები,
მაშინ, როდესაც ალარ კმარა ის ცოცხლები, ვინაც შემოგრჩა.
ისევ საუბრობს... ვხედავ ხელებს, რომლებმაც ისიც კი იცოდნენ,
მოესინჯათ თუ ვით იყო ამოჩირკნილი გემის კიჩოზე ქალთვევზა და
ისიც შეეძლოთ —
ამ შეაგულ ზამთრის ავდარში
უშფოთველი და ლურჯი ზღვა რომ
ჩემთვის მოეცათ.

დინოს ხრისტიანოპულოსი

ყულზი



ახლა, როდესაც საბოლოოდ ამოგშალე ჩემი გულიდან,
უფრო და უფრო დაუინტებით ბრუნდები უკან,
ტრიანულად ბრუნდები უკან.
ჩემთვის წყლობას ვერ იტევენ შენი თვალები,
ჩემთვის სიაზეს ვერ იტევენ შენი სიტყვები,
და ეს თითებიც უფრო მეტად მტკიცენი გახდნენ —
ჩემი ყელისთვის მეტად სანდონი.

ზღვა

ზღვა ჰგავს სიყვარულს — შედიხარ და არც კი იცი
უკან გამოსვლას კვლავ თუ შეძლებ,
ზღვა სიყვარულს ჰგავს.
სიყმანვილის უამს, აბა, ვის არ უგემია
საბედისნერო ჩაყვინთვები, სასიკვდილო გადახტომები,
ვის არ უგრძენია განასკვული ფეხის სიმწარე,
მოულოდნელ წყალქვეშა ორმოს, ანდა უხილავ რიფებს ვინ არ გამოსდებია,
აბა, ვინ არ გაუტაცნა ველურ მორებს,
ვინ არ შემკრთალა ზიგიგინისა თუ მელუზათა ნასუსხის შიშით.
სისულელეა, ზღვაზე გასვლა მისთვის შევწყვიტოთ,
რომ რაღაც ხუთო-ექვსი კაცი დამთხვალა მისით.
სისულელეა, ზღვას მხოლოდ მისთვის ვულალატოთ,
რომ ჩვენი შთანთქმის ყველა ხერხს ფლობს, ყველა გზა იცის.
ზღვა ჰგავს სიყვარულს —
ათასები ხარიბები მისით,
მაგრამ ერთი ზღავს.

კიკი დიმულა

უფაპესი გაურაველობა



„წმიდაო ღმერთო“ — დღეში ბევრჯერ,
არ დაგვავიწყდეს,
რათა ებოძოს მკვდრის სტატუსი
მიძინებულს მონასა შენსა.

უზენაესო, რას გულისხმობა?
მონა სხვაა და მკვდარი სხვაა?
ნეტაც როდიდან დაუშვი, რომ
ასე ღრმა ძილით ეძინოთ შენს
დაუსველ მონებს.
ღმერთო, სიკვდილი მართლა თუ შველის
და თუ მართლა ათავისუფლებს,
როგორც ჩვენ გვარწმუნებს ხოლმე
ტკბილზე ტკბილი გაურკვევლობა,
მაშინ შენ მაინც რაღად გინდა,
რაში გჭირდება მონათმულობელსაც მბრძანებლობდე?
მიძინებულს...

მართლა ძილზე საუბარი, ჩემო უფალო?

ანუ მკვდარს მუდა თან სდევს ძილი...

ნუთუ ცხოვრების დაკარგვას ასე მარტივად ძალუს მიაძინოს ადამიანი?

არადა ჩვენთან — ჯერ კიდევ ვინც ზედა სამყაროს მონები ვართ —

მათ მორის, ჩვენთან,

თვალს, აბა, ისე ვინ მოხუცავს, გაურკვევლობა-ბებიამ

თუ იაგნანით არ მიაძინა,

და გარდისფერი, ტკბილზე ტკბილი გამოლვიძების

სიტყვა თუ არ მისცა ძილის წინ.

იქნებ, უფალო, ამ გულება და ქიშპით საგსე

ლოცვებს როდესაც ამტკიცებდი,

იქნებ მაშინ შენაც ჯერ კიდევ კაცი იყავ?

იქნებ... ვინ იცის...

